იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 71 „12" „დეკემბერი" 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა

"საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის N69 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

"იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცვლილება შევიდეს იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის N69 გადაწყვეტილებაში და მე–4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. ცვლილება შევიდეს დებულების მე–9 მუხლის მე–3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრებია:

3.1.თბილისის, მცხეთის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, რუსთავის, გორის, ახალციხის, ზესტაფონის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის, ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროები;

3.2. აქბროლაურის, ახალქალაქის, წალკის, მარნეულის, მესტიის, საჩხერის, დუშეთის, ცაგერის, ყაზბეგის, დმანისის, მარტვილის, შუახევის, ხაშურის, ბორჯომის, წალენჯიხის, ახმეტის, წყალტუბოს, ტყიბულის, დედოფლისწყაროს, ჭიათურის, ხობის, აბაშის, ონის, გარდაბნის, ბოლნისის, ჩხოროწყუს, ლაგოდეხის, ხარაგაულის, დუშეთის, ბაღდათის, ქარელის, მარტვილის, თიანეთის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, სენაკის, სამტრედიის, ადიგენის, ხონის, ჩოხატაურის, ლენტეხის, ქობულეთის, ყვარლის, ასპინძის, ქედას,

იმერეთისა და ქვემო სვანეთის რეგიონის, სამეგრელოს–ზემო სვანეთის რეგიონის, შიდა ქართლის რეგიონის, მცხეთა–მთიანეთის რეგიონის საკონსულტაციო ცენტრები.

2. გადაწყვეტილება ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: თეა ჭეიშვილი

საბჭოს წევრები: ზაზა ხარებავა

თამარ გვარამაძე

პავლე აბაიაძე

ირაკლი გვარამაძე

რამაზ ჩინჩალაძე

ფატმან არზიკიანმა გამოთქვა სატელეფონო თანხმობა.